წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №11

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 07 აგვისტო

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დარეჯან დადიანი

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ნონა მიქავა, დათა აკობია.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: სოლომონ სარია, ვალერიანე კვარაცხელია, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაჩუკი უბილავა, ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: ვალერიანე კვარაცხელია, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლაშა ჭანია, მერის მოადგილე ცოტნე შონია, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 12: 35 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ჯემალ ბელქანია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 23 სექტემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ჯემალ ბელქანია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ჯემალ ბელქანია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ჯემალ ბელქანია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

5.სხვადასხვა

მოისმინეს : 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრებმა დალი კვარაცხელიამ, თენგიზ ფიფიამ და დავით ბელქანიამ აღნიშნეს, რომ აუცილებლად საჭიროა აღნიშნულ განყოფილებაში დროულად მოხდეს კონკურსის გამოცხადება ფსიქოლოგის და ჯანდაცვის სპეციალისტის შტატზე, რათა განყოფილებამ იმუშაობს გამართულად.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N11).

მოისმინეს 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 23 სექტემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N12).

მოისმინეს: 3. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N13).

მოისმინეს : 4. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N11).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე დარეჯან დადიანი